



საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 82
05/12/2018

82-06-4-201812051817



განკარგულება N82
5 დეკემბერი 2018 წელი

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი
ქონებების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის
მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილების და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის და 26-ე მუხლების თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ


გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3 (სამი) ერთეული მოძრავი ქონებების - გრეიდერი GB 165 (მოდელი P2PP1300049, სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი GZ 820, გამოშვების წელი 1.10. 2013წ.), ავტომანქანა კამაზი თვითმცლელი (5511, 10850სმ3 სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი SBB 575) და ტრაქტორი ექსკავატორის (MST N1548, სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი VS 744) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრი“-სთვის უსასყიდლოდ, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით თხოვნების ფორმით, გადაცემისათვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დარჩია დავით



საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



